The source word is metaphorically conceptualized as a spatial notion with several meanings (cf. the widespread metaphor of a text as a container of meanings). Each of the meanings to be translated follows its “track” to the target language. To this extent, it may not be possible for the target language to lead all the “tracks” to a single “container” to cover all of the meanings present in the source language. If you follow one track, you convey one meaning, but the other meanings of the source language unit cannot be rendered by the same word in the target language. Such differences determined by the nature of source and target languages are limited in the translation of religious texts, especially the Bible, because of theological concepts of Late Antiquity and the Middle Ages prohibiting even the slightest changes in the translation of the Bible, the Word of the Lord. Cf. ‘[The translation] must refer to one the same and render the same in all languages’ (The Commentary on the Book of Psalms). The paper analyzes Old Georgian metatexts in which translators convey their ideas on limitations and trends related to Bible translation both at technical and implicational levels. In this regards a network of metaphors is discussed: the metaphor of gold (extracting gold from an admixture, furnace, fire, firing); the metaphor of harvest (an “ox-cart” used to carry crops home, “sheaf”, “wheat”, “bread”), the metaphor of “virgin land” (working tools clearing the land of weeds) and the metaphor of honey (the text as a sweet meal).



ლალი ეზუბაია

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო  
l.ezugbaia@freeuni.edu.ge

ჭაბუკი ძირია

თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველო  
mzechabuki@gmail.com

მერაბ ჩუხუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
mchukhua@yahoo.com

### **„ჭანურის გრამატიკული ანალიზიდან“ „ლაზურ-მეგრულის გრამატიკამდე“: ლაზურისა და მეგრულის ურთიერთმიმართების ისტორიისთვის**

არნ. ჩიქობავას „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ (1936) პირველი ნაშრომია, რომელშიც შეპირისპირებულია ლაზურ-მეგრულ-ქართული ენობრივი სისტემები. ამ ნაშრომითა და „ლაზურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონით“ (1938) საფუძველი ჩაეყარა ქართველური ენების კვლევის იმ მიმართულებას, რომელიც ლაზურ-მეგრულს წარმოადგენს ზანური ენის დიალექტებად. მას შემდეგ ამ მიმართულებით წარმართა მუშაობა ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ხოლო პარალელურად, დეტერსის თვალსაზრისის თანახმად, ქართველი მეცნიერების ერთი ნაწილი ლაზურსა და მეგრულს იკვლევდა როგორც დამოუკიდებელ ენებს. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ეს მუშაობა 60-იანი წლებიდან, როცა თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ნაშრომი „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართულში“ (1965) გამოვიდა. მას შემდეგ შეიქმნა არა ერთი ფუნდამენტური ნაშრომი, სტატია და დაგროვდა საინტერესო და დიდძალი მასალა. ამავე დროს ენათმეცნიერული კვლევის დღევანდელი დონე და მიმართულება მოითხოვდა ლაზურისა და მეგრულის სრულ და ამომწურავ შეპირისპირებით ლინგვისტურ ანალიზს, რაც მნიშვნელოვანი ეტაპი გახდებოდა **ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის** შესაქმნელად. ეს საჭირო იყო იმისთვისაც, რომ ახლებურად გაანალიზებულიყო მთელი რიგი მორფოლოგიური საკითხები, რომლებიც მკვლევართა მიერ მიიჩნეოდა ლაზურისა და მეგრულის, როგორც დამოუკიდებელი ენების, წყალგამყოფად.


ჩვენი ჯგუფის მიერ მომზადებული და გამოცემული ნაშრომი „ლაზურ-მეგრულის გრამატიკა. I. მორფოლოგია“ (2015) არის მცდელობა ზემოთ დასმული ამოცანების გადაჭრისა. ჩვენი მიზანი იყო **მორფოლოგიური სისტემების შედარება**. გაანალიზდა ასევე ძირეული ლაზურ-მეგრული ლექსიკა, რომელიც ჩვენს მონოგრაფიას დაერთვის **ძირ-ფუძეთა ინდექსის** სახით და სადაც მხოლოდ ისეთმა ლექსიკურმა ერთეულებმა მოიყარა თავი, რომელიც საერთოა ლაზურისა და მეგრულისთვის.

მონოგრაფიაში ერთდროულად არის განხილული როგორც ლაზურის, ისე მეგრულის მონაცემები. რანგობრივი ანალიზის ყველა დონეზე გამოჩნდა ის საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისება, რაც ახასიათებს ლაზურსა და მეგრულს. ვრცელ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით და სისტემური კვლევით წარმოჩინდა ის ტენდენციები, რაც ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გამოიკვეთა ლაზურისა და მეგრულის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

ნიგნში ფართო მორფოლოგიური კვლევის საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ მეგრული და ლაზური ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე აჩვენებს ერთიან

სისტემას, ხასიათდება გამორჩეული მონოლითურობით, იგი მთლიანად ქართველური ტიპის ენაა და მასში არ იკითხება სხვა წრის ენათა ადრეული გავლენის კვალი. აღწერილ ენობრივ ერთეულებს შორის წარმოჩენილი სხვაობის ზღვარი თითოეულ მათგანს ერთმანეთის მიმართ დიალექტური დიფერენცირების ხარისხთან აახლოებს და, შესაბამისად, **ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით, აღწერილი ქვესისტემები კვალიფიცირდება, როგორც ერთი – ზანური (კოლხური) ენის ორი დიალექტი: ლაზური და მეგრული.**

აქედან გამომდინარე, მონოგრაფიაში ახლებურადაა დასმული ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხიც, კერძოდ, ის შემდეგი სქემით უნდა გამოიხატოს:



ანუ, ამოსავალში, დიფერენციაციის წინა საფეხურზე, საერთოქართველურ ფუძე-ენას ჰქონდა სულ მცირე სამი დიალექტი — ქართული, ზანური, სვანური, საიდანაც შემდგომში, როდესაც თავი იჩინა ძირეულმა მორფოლოგიურ-ლექსიკურმა სხვაობებმა (ფონოლოგიურ ტრანსფორმაციასთან ერთად), მოხდა ამ დიალექტთა დამოუკიდებელ (ისტორიულად ფიქსირებულ) ენებად ჩამოყალიბება.

LALI EZUGBAIA

*Free University of Tbilisi, Georgia*  
*l.ezugbaia@freeuni.edu.ge*

CHABUKI KIRIA

*Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia*  
*mzechabuki@gmail.com*

MERAB CHUKHUA

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*  
*mchukhua@yahoo.com*

### **From “Grammatical analysis of Chan” to “Laz-Megrelian Grammar”: towards the History of the Relationship of Laz and Megrelian”**

“Grammatical analysis of Chan” (1936) by Arnold Chikobava is the first monograph, where Laz-Megrelian-Georgian language systems are compared with one another. By this monograph and “Laz-Megrelian-Georgian comparative dictionary” (1938) were established a new direction of studies of Kartvelian languages, in which Laz and Megrelian are considered as dialects of the Zan language. Since that, studying Laz-Megrelian in this way has been implemented at the institute of linguistics, at the same time, accordingly with Deeters viewpoint, other group of Georgian scholars have researched Laz and Megrelian as separate languages. The work has become especially fruitful since 60s, when T. Gamkrelidze and G. Matchvariani published their monograph “the system of sonants and ablaut in Kartvelian” (1965). Since that a lot of

works, articles have been written, therefore a great number of interesting materials has built up.


At the same time the level and direction of present day linguistic research challenged us to get a full and comprehensive comparative linguistic analysis of Laz and Megrelian, which would become a new stage of creating a comparative grammar of Kartvelian languages. It was necessary to investigate a wide range of morphological issues in a new way. These issues were considered as a watershed of Laz and Megrelian as separate (independent) languages.

The work “the Laz-Megrelian Grammar. I. Morphology” prepared and published by our team is an attempt to solve above mentioned issues. Our aim was at comparing morphological systems to one another. Basic Laz-Megrelian roots were analysed, which are attached to the monograph as an index of the roots and stems which are common both for Laz and Megrelian.

The monograph discusses the data of Laz, as well as Megrelian. All the distinctive features are shown at every ranking level of analysis. on the basis of language material and by systematic investigation of the language the core tendencies have been revealed, which are outlined in last decades from comparative standpoint of Laz and Megrelian.

On the basis of profound morphological study the conclusion has been given: Laz and Megrelian show a common system at all levels of the language hierarchy; characterised by a distinctive monolithic feature; belonged to the Kartvelian language, and the influence trace of other languages is not obvious. The difference between above described language units brings each of them close to dialectal differentiation and, **therefore, based on the linguistic data, the subsystems are qualified as two dialects of one - Zan (Colchian) language: Laz and Megrelian.**

Therefore, the issue of the relation of Kartvelian languages discussed in the monograph could be presented with this scheme:



In this regard, in the previous step of the differentiation, Common Kartvelian language had three dialects - Georgian, Svan and Zan, from those, after emerging basic morphological and lexical differences (together with phonological transformation), the dialects were formed as independent (historically fixed) languages.

## ძველ ქართველ ებრაელ მთარგმნელთა მიდგომა ბიბლიური ტექსტების თარგმნისადმი

ქართველ ებრაელთა შორის არსებობს ბიბლიური და სხვა სარწმუნოებრივი წიგნების დამოუკიდებელი თარგმანები ქართულ ენაზე „თავსილის“ სახელწოდებით, რომელთა თარგმნის პროცესი, ჩვენი ვარაუდით, დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნეიდან დაიწყო. ეს თარგმანები არასოდეს ყოფილა დაწერილი და ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. თემის მომავალ მსახურებს მათ სპეციალურად ასწავლიდნენ. ხაზგასასმელია, რომ ამ თარგმანებს წარუვალა მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ ქართველ ებრაელთა ისტორიის, კულტურისა და მეტყველების შესასწავლად, არამედ ზოგადი თვალსაზრისითაც – ებრაულ თემთა ისტორიისა და ეგრეთ წოდებულ ებრაელთა ენების კვლევის საქმეში. ამავ დროს ეს ცოცხალი ქართული მეტყველების ადრინდელი ნიმუშებია და დიდად საყურადღებოა ქართული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის მკვლევართათვის.

უკანასკნელ დრომდე, სამწუხაროდ, ძველ ქართველ ებრაელთა მნიშვნელობის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლები არ იყო ცნობილი მეცნიერული წრეებისათვის. მხოლოდ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ორი წიგნი – ბერეშითი – „შესაქმე“ და ფესახის (პასხის) აგადა („ლეგენდა“), თითოეული რამდენიმე ვარიანტით.

ყურადღებას იპყრობს ძველ ქართველ ებრაელ მთარგმნელთა მიდგომა თარგმანისადმი. შეიძლება ვიმსჯელოთ მათი ერთგვარი თეორიული წანამძღვრების შესახებ. ცნობილია, რომ გამოყოფენ თარგმანის ორ ძირითად სახეობას: თავისუფალი თარგმანი და სიტყვასიტყვითი თარგმანი. ბიბლიური ტექსტების მთარგმნელთა დიდი ნაწილი, სეპტუაგინტადან და ონკელოსის თარგმანიდან მოყოლებული, ძირითადად ზედმინევენი თარგმანის პრინციპებს იყენებს, თუმცა კი მეტ-ნაკლები გადახვევებით. სავარაუდებელია, რომ ძველი ქართველი ებრაელი მთარგმნელები იცნობდნენ ამ პრინციპებს და მათ მიმდევრებად გვევლინებიან. თუმცა მათი მისამართითაც გასათვალისწინებელია ფუძემდებლური ხასიათის შენიშვნა, რომ ბიბლიური ტექსტების „მთარგმნელის წინაშე დგას დილემა, როგორ შეუთავსოს ერთმანეთს ორიგინალისადმი ერთგულება და საკუთარი ენის კანონთა დაცვა“ (მარგოლისი).

ძველი ქართველი ებრაელი მთარგმნელები უკიდურესობამდე მიდიან ორიგინალისადმი ერთგულების დაცვის თვალსაზრისით. „ლაპარაკია დამხმარე სიტყვებისა და თავსართ-ბოლოსართებისათვის ორიგინალისეული ადგილის შენარჩუნებაზეც კი“ (გ. ბენ-ორენი). ალბათ, ორიგინალისადმი ამგვარი დამოკიდებულების ყველაზე ნათელი მაგალითია ნანევრის გამოყენება თარგმანში ისეთ შემთხვევებშიც კი, სადაც ეს ძველი ქართულისეული წესების მიხედვით საერთოდ არ არის შესაძლებელი.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება სათანადო ნიმუშები. არანაკლებ ხშირია უშემასმენლო წინადადებათა ხმარება თარგმანში. საქმე ისაა, რომ ებრაულ ორიგინალში შედგენილი შემასმენლის მეშველი ზმნა ხშირად არ არის წარმოდგენილი და შესატყვისად თარგმანისეული წინადადებაც უშემასმენლოდ არის დატოვებული ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგოდ.

ორიგინალისადმი ერთგულების ფუძემდებლური პრინციპის დაცვასთან ერთად, მთარგმნელები მზად არიან (უფრო სწორად, იძულებულნი ხდებიან) გარკვეულ შემთხვევებში დათმობაზე წავიდნენ, რომ მკითხველისათვის გასაგები გახადონ ტექსტი. ამისათვის უპირველესი საშუალებაა ეგრეთ წოდებული ორმაგი თარგმანის პრინ-

ციპის გამოყენება. მოხსენებაში შესაბამისი ნიმუშების განხილვის საფუძველზე განხილული იქნება ორმაგი თარგმანის რამდენიმე ძირითადი შემთხვევა (მათი განშტოებებიც): ა.) ერთმანეთის გვერდით თარგმანში წარმოდგენილია ებრაული სიტყვა ან გამოთქმა და მისი ქართული შესატყვისი. ბ.) მთარგმნელები არ სჯერდებიან ერთ ქართულ პარალელს და რამდენიმეს აწვდიან მსმენელს. ეს კარგად გვიჩვენებს, თუ როდენი რუდუნებით შრომობდნენ ისინი როგორც ორიგინალისადმი ზუსტი შესატყვისობის, ისე გასაგებადობის მისაღწევად.

ცხადია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე გვაქვს ტექსტთან, რომელმაც საუკუნეების სიღრმიდან ზეპირად მოაღწია ჩვენამდე და, მან, მთარგმნელთა და ტექსტის გადმომცემთა სურვილის საწინააღმდეგოდ, ალბათ, განიცადა ცვლილებები. გავანალიზებთ ამ ცვლილებათა პრინციპებსა და შესაძლებელ გზებსაც.

REUVEN ENOCH (RUBEN ENUKASHVILI)

*Ariel University, Israel*

reuvne@ariel.ac.il

### **The early Georgian Jew translators' approach to translating Biblical texts**

Some independent translations by early Georgian Jewish translators of Biblical and other sacred books are known by the name “Tavsili”. The first such translations, we assume, must have emerged in the 11<sup>th</sup> century. These translations have never been written down and were passed on orally from one generation to the other. In particular they were taught to future religious ministers. It is worth emphasizing that these translations have an undeviating significance for not only the history of the Georgian Jews, their culture and their spoken language, but also, in general terms, for the history of Jewish communities and the study of the Hebrew Languages. At the same time these are the earliest examples of the Georgian spoken language and it proves to be immensely important for scholars of the history of the Georgian Language and its dialectology.

These important examples of literary heritage were unfortunately unknown in scholarly circles until a short while ago. Only within the last 7 years were two books published – Bereshit (“Genesis”) and the Pesach (Passover) Haggadah (“legend”). Each of these books were presented in several versions.

The early Georgian Jewish translators' approach to translation work is particularly remarkable. We can discuss its certain theoretical precursors. It is widely known that two main types of translations are usually distinguished: Free (idiomatic) translation and literal translation. The majority of translators working on the Biblical texts mainly used the principles of literal translation starting from the translations of the Septuagint and Onkelos while allowing only slight deviations. It is possible that the early Georgian Jewish translators were well aware of these principles as they appear to be following the above mentioned practice. Yet even in this respect a fundamental remark should be made, acknowledging that a translator is left “face to face with the dilemma of how to combine fidelity to the original with due regard for the genius of his own language” (Margolis).

The old Georgian Jewish translators took fidelity to the original to the extreme. They applied it even to “the preservation of the original place of auxiliary words as well as prefixes and suffixes” (G. Ben-Oren). Probably the most vivid example of such an approach is the use of articles in their translations in spite of the fact that it is impossible in the old Georgian language. The paper will discuss appropriate examples. The use of the predicate-less sentences

appear equally common in those translations. The problem is that in the original Hebrew text the auxiliary verb of complex predicate is often absent and therefore it is not translated in the Georgian translation as it contradicts the nature of the Georgian language.

Together with the fundamental principle of fidelity to the original, the translators are prepared (or obliged) to compromise in order to make the text understandable to the reader. The chief way of achieving this is the use of so called double principle. This paper will discuss several basic cases of the double translation (including their branches): a) The Hebrew word or a phrase is presented side by side with its Georgian equivalent; b) The translators are not satisfied with only one Georgian parallel and offer several equivalents. This demonstrates how diligently they toiled in their search for accurate and comprehensive definitions.

Obviously, we should never forget that we are dealing with the texts that were handed down to us orally throughout the centuries and they underwent certain changes against the wishes of the translators as well as the conveyors. We shall analyze further the principles and the possible ways of the above mentioned changes.



ეკატერინა ველმეზოვა  
ლოზანის უნივერსიტეტი, შვეიცარია

ახალი მიდგომები ნიკო მარის „ენის ახალი თეორიის“ კვლევაში

EKATERINA VELMEZOVA  
University of Lausanne, Switzerland  
Ekaterina.Velmezova@unil.ch

### On new approaches to the study of Nikolaj Marr’s “New Theory of Language”

The “New Theory of Language” of the Soviet linguist Nikolaj Marr (1864-1934) has for a long time been an enigma for linguists and historians of linguistics, so that there exists already a great number of works on Marr and his doctrines. A new approach to the linguistics of Marr would consist in trying to understand his theories which at first sight seem incomprehensible, odd and even contradictory. More precisely, it means the necessity to elaborate particular methods to find out a specific point of view which would permit to consider his theories (or at least a part of them) illogical no longer. In our paper, we shall provide several examples of the application of such an approach, dwelling in particular on

- a) the very nature of linguistic signs (were they, according to Marr, arbitrary or not ?) ;
- b) the distinction between (in Saussurean terms) the notions of *langue(s)* ([concrete] languages) and *langage* (human language in general), allowing to shed some new light on Marr’s evolutionary theories ;
- c) the problem of development of linguistic forms as correlated to particular linguistic meanings, supposing an “asymmetrical” character of language evolution (in connection with the question of the so-called linguistic relics or vestiges : linguistic elements, the ancient form of which no longer correspond to their modern semantics) ;
- d) the very correlation between proto-forms and proto-meanings in the prehistoric languages, according to Marr.

The discovery of the corresponding major theoretical principles “between the lines” of Marr’s works permits to compare Marrism with other doctrines of the late 19th – early 20th century and thus to consider Marr “outsider” no longer, especially in the particular “ideological” context of his time.

## რატომ გახდა საჭირო ძველი ქართული თარგმანების „ახლად თარგმნა“ მეთერთმეტე საუკუნეში

ძველ ქართულ მწერლობას არცერთ ლიტერატურასთან არ ჰქონია ისეთი ხანგრძლივი ურთიერთობა, როგორც ბერძნულთან. პირველი ქართული თარგმანები ბერძნული ენიდან უნდა იყოს შესრულებული და ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობანი სხვა ხალხებთან ძირითადად ამ ენის საშუალებით, ბერძნულენოვან ბიზანტიურ ლიტერატურასთან კონტაქტებით უნდა დაწყებულიყო. ამ ურთიერთობამ, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ინტენსიურად გრძელდებოდა და ხელს უწყობდა ქართული სულიერი კულტურის განვითარებას, განსაკუთრებული ხასიათი X საუკუნიდან მიიღო. თუ ადრე, – უკვე IV-V საუკუნეებიდან, – ქართველები ახლო აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქაურ სამონასტრო ცენტრებსა და სამწერლობო კერებში, X საუკუნიდან მათ დასავლეთისაკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის გაძლიერებისა. ამ დროიდანვე იწყება ქართველ მწიგნობართა ინტენსიური მუშაობაც, ერთი მხრივ, ბიზანტიური მწერლობის აქამდე უთარგმნელი ძეგლების ქართულად გადმოსაღებად და, მეორე მხრივ, უკვე თარგმნილი უმნიშვნელოვანესი თხზულებების ბერძნულთან შედარება-შეჯერებისა და ამ გზით მათი ახალი რედაქციების, ან ახალი თარგმანების შესაქმნელად.

„ახლად (მეორედ) თარგმნა არა ჯერ-არს“, – ასეთი იყო ძველ ქართველ მთარგმნელთა ეტიკეტი, რადგან მიაჩნდათ, რომ „მეორედ თარგმანებული წინააღმდეგომად პირველისა გამოჩნდების“. „ახლად თარგმნის“ ყოველი შემთხვევა საფუძვლიანად მოტივირებული უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში არაერთი ფაქტი დასტურდება ერთი თხზულების მეორედ თარგმნისა.

ერთი თხზულების რამდენჯერმე თარგმნას მრავალი სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა, მაგრამ საეკლესიო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების, უპირველესად კი ბიბლიური წიგნების, „ახლად თარგმნის“ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება, როცა X საუკუნის 80-იან წლებში ქართულმა სახელმწიფომ რელიგიურ-პოლიტიკური ორიენტაცია ბიზანტიისაკენ აიღო, რამაც თავის მხრივ წარმოშვა აღმოსავლეთის ეკლესიათა ლიტურგიკულ ტრადიციებზე დაფუძნებული და დასავლეთის ეკლესიებში კანონიზირებული ტექსტისაგან განსხვავებული ძველი ქართული თარგმანების რევიზიის საჭიროებაც. „ყოველივე ბერძულისაგან და ვითარ იგი ბერძულად არს“ – ამგვარმა კონცეფციამ აუცილებელი გახდა ქრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლის სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანების ბერძნული სახარების ე.წ. ბიზანტიურ რედაქციასთან შედარება-შეჯერება და მისი „ახლად თარგმნაც“. ეს საპასუხისმგებლო საქმე თავს იღო წმ. გიორგი ათონელმა (მთანმიდელმა), რომლებმაც ქართული თარგმანების ბერძნულთან სამჯერ შედარების შედეგად მისი ახალი (ათონური) რედაქცია ჩამოაყალიბა. გიორგი ათონელის მიზანი იყო ზუსტად „ვითარ იგი ბერძნულად არს“ გადმოელო ბერძნული დედნის ტექსტი. სიზუსტის დასაცავად მას ზოგჯერ უხდება ქართულ ტექსტში სიტყვათა დამატება ან დაკლება, ლექსიკისა და გრამატიკულ ფორმათა შეცვლა, სიტყვათა რიგის შენაცვლება, ბერძნული და ქართულ ენების გრამატიკულ-სტილისტურ თავისებურებათა გათვალისწინებაც და, ამის შესაბამისად, თარგმანის ენის დახვეწა-განახლება. გარდა ამისა, ახდენს ოთხთავის როგორც ხელნაწერი წიგნის „ბერძნულსა წესსა ზედა გამართვას“, რაც გულისხმობს მისთვის

ისეთივე კრიტიკული აპარატის დართვას (ევესები კარპიანეს ეპისტოლე, კანონები, სახარების თავთა ჩამონათვალი, სანელინდო სახარება...), როგორც ჩვეულებრივ ახლავს იმ პერიოდის სახარების ბერძნულ ხელნაწერებს და, ფაქტობრივად, ქმნის ბიზანტიური ხელნაწერი ოთხთავების ქართულ ანალოგს, რომელშიც „ყოველი სიტყუა დასაჯერებელ იყუნეს“.

DAREJAN TVALTVDZE

*Ivane Javakhishvili Tbilisi state University, Georgia*

*darejan.tvaltvadze@tsu.ge*

### **Why did the “Retranslation” of old Georgian Translations Become Necessary in the 11<sup>th</sup> Century**

Old Georgian literary relationships with other cultures were never as extensive as those that existed between the Georgian and the Greek literary traditions. It is most likely that the first Georgian translations were made from the Greek, and literary relations between Georgia and other nations were mostly initiated through the Greek Byzantine literary connections.

This relationship, which continued intensively throughout the centuries, and encouraged the promotion of Georgian spirituality, acquired a rather special character from the 10<sup>th</sup> century on. If, during the 4<sup>th</sup>-5<sup>th</sup> centuries, Georgians leaned towards the Middle East and actively participated in its monastic life and literary centers, from the 10<sup>th</sup> century on, they redirected their gaze towards the West, and started a monastic colonization of Byzantium, which was a direct result of the strong Georgian-Byzantine state/political relationship. Georgian bibliophiles worked intensely during this period – on the one hand they translated into Georgian those Greek texts that had never been translated, and on the other hand, they compared and adjusted some already translated texts with their Greek originals, producing through this method new editions and new Georgian translations.

The ethical credo of the early Georgian translators prescribed that “No one should retranslate”, since they believed that “the second translation will appear contradictory to the first one”. Every case of retranslation had to be fundamentally motivated. In spite of this, there are numerous examples of retranslations of the same work throughout Georgian literary history.

Translation of the same work more than once was conditioned by different reasons. Yet, in the case of ecclesiastical literature and biblical books, it was primarily conditioned by the political changes that took place in the 80s of the 10<sup>th</sup> century, when the Georgian religious-political orientation turned towards Byzantium. This in its turn gave rise to a need for revising the old Georgian translations based on Eastern liturgical traditions, these being quite different from the western church’s canonical texts. The very concept “All from Greek and like Greek” made it necessary to adjust and compare with the Greek text of the so called Byzantine edition of the most important Christian literary documents - the four Gospels, and then retranslate the existing Georgian translations. This great responsibility was taken up by St. Giorgi the Athonite (Mtatsmindeli) who brought into being a new edition of the Georgian translations after comparing the earlier ones with their Greek originals up to three times. Giorgi of Mtatsminda aimed at making his text as close to the Greek version as possible. For increasing precision he sometimes needed to either add or remove words, make changes of lexis or grammatical order and word order, considering the grammatical and stylistic peculiarities of the Greek and Georgian languages and thereby renewing and refining the language of the translation. Besides this, he designed his manuscript of the four Gospels “according to the Greek rule”, which means attaching to it a critical apparatus (The Epistle of Eusebius to Carpianus, Canons, Titloi, Menologium ...), which usually accompanied the Greek Manuscripts of that period. By doing so, as a matter of fact, he created a Georgian analogue to the Byzantine Gospel Manuscripts, in which “every word is credible”.

დოდონა კიზირია  
ინდიანის უნივერსიტეტი, აშშ  
kiziria@indiana.edu

## ბელადი და ლიდერი კინოეკრანზე

მოხსენებაში განიხილება მიხეილ ჭიაურელის მიერ „მოსფილმში“ 1950 წელს გადაღებული „ბერლინის დაცემა“ და ამერიკული ფილმი, როლანდ ემერლიჩის სამეცნიერო-ფანტასტიკური დრამა „დამოუკიდებლობის დღე“, რომელიც გადაღებულია 1996 წელს კინოკომპანია „Twentieth Century Fox-ის“ მიერ. ერთმანეთს უდარდება ამ ფილმების დამამთავრებელი, გამორჩეულად სიმბოლური სცენები.

„ბერლინის დაცემა“ შთაგონებული იყო მეორე მსოფლიო ომის მოვლენებით, ხოლო „დამოუკიდებლობის დღე“ დედამიწაზე მოსალოდნელი თავდასხმის გამოგონილი ისტორიაა. მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი ფილმები სხვადასხვა ჟანრს მიეკუთვნება და მათი გადაღების თარიღებს შორისაც თითქმის 50-წლიანი სხვაობაა, ორივე ფილმი მნიშვნელოვან მსგავსება-განსხვავებებს ავლენს სსრკ-სა და აშშ-ს სოციალურ ღირებულებებისა და მისწრაფებების თვალსაზრისით. ორივე ქვეყანა თავის თავს აღიქვამს მსოფლიო ლიდერად, მაგრამ მათი სახელისუფლებო ლიდერები ძირეულად სხვაობენ ერთმანეთისაგან. ორივე ფილმში ხაზგასმულია ეთნიკური და რასობრივი თანასწორობა, მაგრამ აბსოლუტურად განსხვავებულად აფასებენ ცალკეული პიროვნების ღირებულებას. ორივე ფილმი მიესაღმება პატრიოტიზმს, მაგრამ დიდი სხვაობაა ამ ცნების გააზრებაში.

მოხსენებაში აგრეთვე განხილული იქნება ფილმ „ბერლინის დაცემაში“ წარმოდგენილი ზოგიერთი ისტორიული, სოციალური და კულტურული ფასეულობის ძველებური და თვალსაჩინო სიმყარე თანამედროვე რუსეთსა და საქართველოში.

DODONA KIZIRIA  
Indiana University, USA  
kiziria@indiana.edu

## Ruler and Leader on Movie Screen

The paper will discuss and analyze the final, highly symbolic scenes of two films: **The Fall of Berlin** and **Independence Day** respectively. The former was a two part Soviet epic movie directed by Mikheil Chiaureli and released in 1950 by the Mosfilm Studio. The latter was an American science fiction drama directed by Roland Emmerlich and released in 1996 by Twentieth Century Fox Film Company.

The Fall of Berlin was inspired by the real events of the WWII, Independence Day is a fictional story about an impending attack of the aliens upon the Earth. In spite of the disparate genres and almost fifty years long distance in their production time, the both films reveal fascinating similarities and differences in social values and political aspirations of the USA and the USSR. The both countries perceive themselves as the world leaders but present contrasting image of the heads of their respective governments. The both films emphasize ethnic or racial equality but attach decidedly dissimilar value to an individual personality. They both applaud patriotism but have different understanding of it.

The paper will also touch upon the enduring power of certain historic, social and cultural values presented in The Fall of Berlin that are still apparent in Russia and Georgia.



მარინე კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
marine.kobeshavidze@tsu.ge; nino.chrikishvili@tsu.ge

## ესპანური ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები

რამდენიმე საუკუნეს ითვლის ესპანურენოვანი ლექსიკონების ისტორია და იგი წარმოდგენილია ლექსიკონების საკმაოდ ფართო სპექტრით. პირენეის ნახევარკუნძულზე ლექსიკონების პირველი ნიმუშები ჯერ კიდევ ემილიანურ გლოსებთან ჩნდება, ხოლო XV საუკუნის ბოლოდან იწყება მნიშვნელოვანი ლექსიკონების შექმნა. სწორედ ესპანურენოვანი ლექსიკონების თემატურ მრავალფეროვნებას ეხება ჩვენი მოხსენება, რომელშიც ქრონოლოგიურად განვიხილავთ ლექსიკონებს და გავაანალიზებთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ლექსიკონის აგებულება, შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე და სხვ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოქროს ხანა, რადგან სწორედ XVI-XVII საუკუნეებში იქმნება როგორც ბილინგვური, ისე მონოლინგვური ლექსიკონების დიდი ნაწილი. ორენოვანი ლექსიკონების ისტორია იწყება ანტონიო ნებრისას ცნობილი ლექსიკონით “Diccionario latino-hispanicum” (1492 წ.), შემდეგ კი იქმნება არაბულ-ესპანური (“Vocabulario árábigo en letra castellana”, Pedro de Alcalá, 1505 წ.), ტოსკანურ-კასტილიური (“Vocabulario de las dos lenguas, toscana y castellana”, Cristóbal de las Casas, 1570 წ.), ესპანურ-ინგლისური (“A dictionary in Spanish and English”, John Minshew, 1599 წ.) და ფრანგულ-ესპანური (“Tesoro de las lenguas francesa y española”, Cesar Oudin, 1607 წ.) ორენოვანი ლექსიკონები.

ესპანური ლექსიკოგრაფიის ფუნდამენტურ ნაშრომად ითვლება სებასტიან დე კობარუბიასის პირველი ერთენოვანი ლექსიკონი “Tesoro de la lengua española o castellana” (1611 წ.). ოქროს ხანის ლექსიკოგრაფიას მიეკუთვნება ანდაზების პირველი ლექსიკონიც (“Vocabulario de refranes”, Gonzalo Correas, 1627 წ.).

არანაკლებ საინტერესოა XVIII საუკუნით დათარიღებული ლექსიკონები, რომლებიც ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: ესპანეთის სამეფო აკადემიის მიერ შექმნილი ლექსიკონები (Diccionario de Autoridades, 1726-39 წწ.) და აკადემიის მონაწილეობის გარეშე შედგენილი ლექსიკონები (“Diccionario castellano con las voces de ciencias y artes”, Esteban de Terreros, 1787 წწ.). აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელში ძირითადად წარმოდგენილი იყო ტექნიკური ტერმინოლოგია, რომელიც RAE-ს ლექსიკონში არ იყო შეტანილი.

არცთუ ისე ნაყოფიერი იყო ესპანური ენის ლექსიკოგრაფიისათვის XIX საუკუნე, რადგან ამ პერიოდში მხოლოდ ესპანეთის სამეფო აკადემიის მიერ შედგენილი ლექსიკონების რედაქტირება ხდებოდა. რაც შეეხება XX საუკუნეს, ჩნდება ვიზუალური (“Diccionario manual e ilustrado de la lengua española”, RAE, 1927 წ.), ეტიმოლოგიური (“Diccionario crítico etimológico castellano e hispánico”, Corominas, Pascual, 1954 წწ.) ლექსიკონები და იქმნება ესპანური ენის უახლესი განმარტებითი ლექსიკონები (“Diccionario de uso del español”, María Moliner, 1966-67 წწ.).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ესპანურ-ქართული ლექსიკონების საკითხი. ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი ესპანურ-ქართული (ასევე, ქართულ-ესპანური) ლექსიკონი არსებობს („Diccionario español-georgiano“, ირაკლი ვახვახიშვილი, 2002 წ.), რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, რადგან ლექსიკონში შეტანილია მხოლოდ 22 000 სიტყვა და შეიძლება ითქვას, რომ არის ბევრი უზუსტობა.

ამრიგად, მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ყველა ზემოხსენებული ლე-

ქსიკონის ანალიზი, რაც ნათლად წარმოგვიდგენს ესპანური ენის ლექსიკოგრაფიის ისტორიულ მონახაზს და გაგვაცნობს კასტილიური ენის ლექსიკოგრაფიის თანამედროვე მდგომარეობას.

MARINE KOBESHAVIDZE, NINO CHRKISHVILI  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*  
*marine.kobeshavidze@tsu.ge; nino.chrikishvili@tsu.ge*

### **Main periods of development of Spanish lexicography**

The history of Spanish-language dictionaries counts several centuries and it is represented by a broad spectrum of dictionaries. The first signs of the vocabularies in the Pyrenees Peninsula come with Emilian Glosses, but the end of the XV century is the period when the significant dictionaries were created. Thematic diversity of Spanish dictionaries is discussed in our article. We will try to analyze their structure, content and chronology.

The Golden Age is of the particular interest, as it was in 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> centuries when the main part of bilingual and monolingual dictionaries was created. The history of bilingual dictionaries begins with Antonio Nebrija's famous dictionary named „Diccionario latino-hispanicum“ (1492), then the Arab-Spanish dictionary (“Vocabulario arábigo en letra castellana”, Pedro de Alcalá, 1505), Toscan – Spanish dictionary (“Vocabulario de las dos lenguas, toscana y castellana”, Cristóbal de las Casas, 1570), Spanish-English dictionary (“A dictionary in Spanish and English”, John Minshew, 1599) and French-Spanish dictionary (“Tesoro de las lenguas francesa y Española”, Cesar Oudin, 1607) appeared.

The first fundamental work in Spanish lexicography was the monolingual dictionary by Sebastian de Cobarubias, “Tesoro de la lengua española o castellana”(1611). The first dictionary of proverbs also belongs to the golden age of lexicography (“Vocabulario de refranes”, Gonzalo Correas, 1627).

18<sup>th</sup> century's dictionaries are also the objects of our interest, which are divided into two main categories: dictionaries created by Spanish Royal Academy (Diccionario de Autoridades, 1726-39) and the dictionaries without its participation (“Diccionario castellano con las voces de ciencias y artes”, Esteban de Terreros, 1787). The last one was represented mainly with technical terminology, which was not included in the RAE's dictionary.

19<sup>th</sup> century was not very productive for Spanish language lexicography, during this period, the dictionaries of the Spanish Royal Academy were edited. As for 20<sup>th</sup> century, a visual dictionary appeared (“Diccionario manual e ilustrado de la lengua Española”, RAE, 1927.), then etymological (“Diccionario crítico etimológico castellano e hispánico”, Corominas, Pascual, 1954) and Spanish language explanatory dictionary (“Diccionario de uso del español”, María Moliner, 1966-67) was published.

The issue of the Spanish-Georgian dictionaries is a special topic in our paper. At this point, only one Spanish-Georgian (as well as, in the Georgian-Spanish) dictionary exists (“Diccionario español-georgiano”, Irakli Vakhvakhishvili, 2002.), which cannot be regarded as complete, because there are only 22 000 words in the dictionary and there are a lot of inaccuracies.

Thus, in the paper we will present the analysis to all above-listed dictionaries, which clearly shows the historical sketch of the Spanish language lexicography and presents the present-day situation of the Castilian language lexicography.



ღამანა მელიქიშვილი, ნინო ჭიჭიკოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
damanamel@yahoo.com; ninochichikoshvili@yahoo.com;

### ტრადიცია და ავტორიტარიზმი ენათმეცნიერებაში

ლოგიკის „ექსპანსიამ“ გრამატიკაში, რაც დიონისე თრაკიელის ფილოლოგიური გრამატიკიდან მოყოლებული, დღემდე ტრადიციულადაა დამკვიდრებული სასკოლო-სასწავლო და მეცნიერულ გრამატიკებშიც, ამ გრამატიკების ავტორთა დიდი ავტორიტეტის გავლენის შედეგად, შეიძლება ითქვას, ათეული წლების განმავლობაში დააბრკოლა ენათმეცნიერული (გრამატიკული) აზრის განვითარება ყოფილი „საბჭოთა კავშირის“ სივრცეში, რომელშიც ქართული ენათმეცნიერული სკოლაც მოიაზრება, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ქართველმა ენათმეცნიერმა, კავკასიოლოგიური ენათმეცნიერების სკოლის ფუძემდებელმა, არნოლდ ჩიქობავამ გაილაშქრა ამ „ექსპანსიის“ წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1928 წელს და შემდგომ სხვადასხვა წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ მთელ რიგ მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომებში.

ენათმეცნიერების კვლევისა და შესწავლის საგანი ენაა. ენას ორი მხარე აქვს: შინაარსი (ფუნქცია) და ფორმა, რომელიც ამ შინაარსს (ფუნქციას) გამოხატავს. ენის შესწავლა გულისხმობს როგორც ფუნქციის (სემანტიკის, მნიშვნელობის), ისე სტრუქტურის (ფორმის) შესწავლას, მაგრამ „სრულიად დაუშვებელია, რომ სტრუქტურა (სტრუქტურული კატეგორიები) აღინეროს ფუნქციის (ფუნქციონალურ კატეგორიათა) მიხედვით და პირუკუ“ (არნ. ჩიქობავა, „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, 1928, 1968). არნოლდ ჩიქობავას „მეთოდოლოგიური იმანენტიზმის“ პრინციპი ენათმეცნიერებაში, რომელიც წინა საუკუნის 30-იან წლებში იქნა წამოყენებული, მოითხოვს ენობრივი მასალის კვლევასა და გრამატიკული კატეგორიების კვალიფიკაციას გრამატიკის შესასწავლი საგნის (მორფოლოგიისა და სინტაქსის) იმანენტური სპეციფიკიდან ამოსვლით.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ის მეთოდოლოგიური პრობლემები და პასუხგაუცემელი კითხვები, რომლებსაც ვხვდებით ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) გრამატიკულ ლიტერატურაში და, რომლებიც მოითხოვენ პასუხს, ახსნასა და გადაწყვეტას. ესენია:

1) შესასწავლი მასალის, კერძოდ, ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისას ხშირად არ არის დაცული ცნების დაყოფის ლოგიკური წესი, რაც გულისხმობს გვარეობითი ცნების სწორად განსაზღვრას და ამ კლასიფიკაციის ფარგლებში მიღებული კრიტერიუმის ბოლომდე დაცვას;

2) კვლევისას გრამატიკული კატეგორიების გამოვლენა არ ემყარება ქართული ენის სპეციფიკას, ამ ენის საკვლევი მასალის სტატისტიკური და სისტემური ანალიზის შედეგებს; ქართული შესიტყვების სტრუქტურა გაანალიზებულია ევროპული ენების მოდელების მიხედვით.

3) საკლასიფიკაციო პრინციპი არ ემყარება მორფოლოგიურ და სინტაქსურ კრიტერიუმებს, შესაბამისად, გრამატიკული მოვლენების კვლევისა და კვალიფიკაციისას გამოყენებულია ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ტრადიციულად (ძველი ქართველი გრამატიკოსების თრაკიელიდან და ევროპული გრამატიკებიდან გადმოღებული ლოგიკური (/სემანტიკური) ტერმინოლოგია: გრამატიკული სტრუქტურა და კონსტრუქცია აღწერილია ლოგიკურ (/უნივერსალურ) და არა გრამატიკულ (მორფო-სინტაქსურ) ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინებით, რაც ხშირად გაუგებრობას

ინვეს.

4) დასაბუთების საფუძვლად აღებულია აპრიორულად, წინასასწარ მიღებული შეუმონმებელი დებულება, მაშინ, როდესაც დასკვნების სისწორე-მცდარობა დამოკიდებულია 1) წანამძღვრის, ამოსავალი დებულების სისწორე-მცდარობაზე (რასაც ემპირია/სტატისტიკა ამოწმებს და ხშირად დამოკიდებულია ახალი მასალის მოკვლევასა თუ აღმოჩენებზე), ანდა 2) ლოგიკური არგუმენტაციის სიმტკიცე-სისუსტეზე. მეორე პირობა ხშირად დაცულია, მაგრამ, თუ ემპირიული მასალა სტატისტიკურად საკმარისად არ არის შესწავლილი და არგუმენტაცია ეყრდნობა არასწორ, მცდარ წანამძღვარს, დანასკვი მცდარი იქნება. კლასიფიკაცია უნდა ამოდიოდეს და ეყრდნობოდეს ემპირიულ მასალას (ინდუქციიდან>დედუქციისკენ და არა პირიქით) და არა ტრადიციულად დამკვიდრებულ აპრიორულად მიღებულ დებულებას, რომელიც კვლევის პროცესში შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ამგვარად, გრამატიკული კატეგორიის, თუ მისი მარკერის კვალიფიკაციისას აუცილებელია საკვლევი მასალის სტატისტიკური (მათ შორის მონათესავე ენების) მონაცემების გათვალისწინება, რაც ხშირად უგულვებელყოფილია. გათვალისწინებული არ არის ემპირიული, სტატისტიკური მონაცემები და გამონაკლისად და ანომალიებადაა ჩათვლილი სისტემური მოვლენები. ხშირად მასალის კვლევას სისტემური ხასიათი არა აქვს, ენობრივი მოვლენების შესწავლა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, „ამოგლეჯით“ ხდება და მხედველობაში არ არის მიღებული ის, რომ ენა სისტემაა, ამ სისტემის რგოლები ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული და სწორედ ამ ორგანული კავშირების ურთიერთმიმართებაა აღმოსაჩენი და შესასწავლი.

5) დგას მორფო-სინტაქსური ფაქტებისა და კატეგორიების ტერმინოლოგიური დახასიათების პრობლემა: მაგ. ა) ზოგადად „მწკრივთა“ სახელწოდებების საკითხი (კერძოდ, ძველი ქართული ენის გრამატიკაში ტერმინის „კავშირებითის მწკრივებ/ი“ გამოყენების შეუსაბამობა, III სერიის მწკრივთათვის ტერმინ „თურმეობითების“ მიზანშეწონილობის საკითხი როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში და სხვ.); გ) ტერმინის – „გარდამავლობა“ – გამოყენება, გრამატიკული კატეგორიის აღსანიშნავად „პოლიპერსონალურ“ ქართულ ზმნაში; დ) ზმნის პირის ნიშანთა „ინვერსიის“ პრობლემა და ამასთან დაკავშირებით პირის მარკერების ლოგიკურ-სემანტიკური და საკუთრივ გრამატიკული ფუნქციების განსაზღვრა და გამიჯვნა დიაქრონიულ და სიქრონიულ წრილში და სხვა.

ამგვარად, გრამატიკული მოვლენის კვალიფიკაციისას უნდა გაიმიჯნოს ლოგიკისა და გრამატიკის სფეროები: გრამატიკული კატეგორიების კვალიფიკაცია უნდა ხდებოდეს მასალის მორფო-სინტაქსური ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც გაირკვევა გამოვლენილი ფორმების/სტრუქტურების ერთი მხრივ – გრამატიკული და, მეორე მხრივ – ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქციები, ანუ დადგინდება სემანტიკური მარკირების მიმართების ტიპი მორფოლოგიაში; ასევე, გაირკვევა, საერთოდ, მარკირებულია თუ არა გრამატიკულად (მორფოლოგიურად) ესა თუ ის უნივერსალური სემანტიკური კატეგორია კონრეტულ ენაში.

მოხსენებაში წარმოდგენილია ქართული ზმნის უღლებად ფორმათა კლასიფიკაცია გრამატიკული – მორფოსინტაქსური პრინციპით: ზმნურ ფორმათა სტრუქტურისა და კონსტრუქციის მიხედვით, რის საფუძველზეც გამოყოფილია ქართული ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია „დიათეზა“, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით.

„გვარი“ (ავტოაქტივი, აქტივი, პასივი) დიათეზების მორფოსინტაქსურ სისტემაში (სქემაში) „დიათეზის“ სემანტიკურად განსხვავებული ქვესახეა, რომელიც გრამატიკულად არ არის მარკირებული. დიათეზის გრამატიკული კატეგორია არის ზმნური შესიტყვების სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ორგანიზაციისა და ზმნური

აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ენაში, მათ შორის, ქართულსა და ევროპულ ენებში: კერძოდ, ქართული ენის ზმნური შესიტყვების სისტემა ევროპულისაგან განსხვავებით, რთულია, მაგრამ მკაცრად ორგანიზებული და ლოგიკურად გამართულია აქტანტთა სუბორდინაცია-კოორდინაციის საფუძველზე.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია ტრადიციული გრამატიკის ფარგლებში, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ ქართული ენის გრამატიკის სწავლება საერთოდ ამოღებულ იქნა სასკოლო პროგრამებიდან. ყოველივე ამასთან, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართული ენის კომპიუტერული მოდელირება ამ პრობლემების დაძლევისა და ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვის გარეშე შედეგის მომცემი არ იქნება, ვფიქრობთ, საჭირო და აუცილებელია ქართულ სასწავლო თუ სამეცნიერო გრამატიკულ ლიტერატურაში მიღებული დოგმების გადახედვა და ამ საკითხებთან დაკავშირებით საენათმეცნიერო დისკუსიის გამართვა.

DAMANA MELIKISHVILI, NINO CHICHIKOSHILI  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*  
*damanamel@yahoo.com; ninochichikoshvili@yahoo.com*

### **Tradition and authoritarianism in linguistics**

Since the period of “Art of Grammar” by Dionysius Thrax until today the expansion of logics is traditionally established in scientific grammars and school text-books. It could be said, that the huge authority of the authors and creators of these grammars has prevented developing of the linguistic (grammatical) ideas throughout the Former Soviet Union, in which Georgian linguistic school was also included. Unfortunately the abovementioned statement is true, in spite of the effort of Georgian linguist – Arnold Chikobava, who was the founder of the linguistic school of Caucasiology: he declined the “expansion of logics” in linguistics as-yet in 1928 and later in his number of methodological papers published in Georgian and Russian languages.

